



№2

საბოლოო
2011


საბოლოო ბმ



ქართა ხმა

2

აპრილი, 2011



გეგმვა
სამოქმედო
სტრატეგია

www.fundsokhumi.ge

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ პერიოდული გამოცემა

გამოდის 2005 წლიდან ორგანიზაცია EED-ის (გერმანია) მხარდაჭერით



ჟურნალში გამოხატული თვალსაზრისი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ორგანიზაცია EED-ის თვალსაზრისს

ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო ღღ

8 მარტი - ამ თარიღის წარმომავლობაზე ბევრს საუბრობენ, დაობენ...
საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მისი არსებობა ეჭვქვეშ დადგა, საბჭოურ გადმონაშთად ჩათვალეს და დედის დღე - 3 მარტი ჩაანაცვლეს (ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდი). თუმცა მაშინვე გაჩნდა წინააღმდეგობა. რა ქნან იმ ქალებმა, რომლებიც ჯერ დედები არ არიან, ან ვერ გახდებიან. გარკვეული დროის შემდეგ 8 მარტი ისევ აღდგა, როგორც ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე.



ყოტა რამ ისტორიიდან

ბევრს ჰგონია, რომ ეს საბჭოთა კავშირის გადმონაშთია, თუმცა კომუნიზმი და სოციალიზმი არაფერ შუაშია. მას დღემდე ძალიან ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ და საკმაოდ დამსახურებულად. თუ ამ თარიღის ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ თავის დროზე ხმა საკუთარი უფლებების დასაცავად პროგრესულმა მშრომელმა ქალებმა აიმაღლეს.

საყოველთაოდ აღიარებული ვერსიით, ქალთა საერთაშორისო დღედ 8 მარტის გამოცხადებას საფუძვლად 1875 წლის ქალთა დემონსტრაცია დაედო.

მაშინ ამერიკაში სამუშაო დღე 16 საათს გრძელდებოდა. ამასთანავე - ერთი და იმავე სამუშაოსათვის ქალები მამაკაცებზე ბევრად ნაკლებ გასამრჯელოს იღებდნენ.

აქცია „ცარიელი ქვაბების მარში“ დაბალი ანაზღაურებითა და შრომის აუტანელი პირობებით აღშფოთებულმა ნიუ-იორკელმა ფეიქრებმა მოაწყვეს. მომიტინგეები სამუშაო დღის შემცირებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ.

ქალების პროტესტი და საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. 1908

წლის 8 მარტს ნიუ-იორკის ქალთა სოციალურ-დემოკრატიული ორგანიზაციის მოწოდებით 15 ათასი ქალი შეიკრიბა თანასწორობისა და საარჩევნო უფლებების მოთხოვნით.

1911 წელს კლარა ცეტკინის (რუსი რევოლუციონერი ქალი) წინადადებით, ევროპაში 8 მარტი ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღედ გამოცხადდა.

არჩევნებში, ანუ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება პირველად ქალებმა 1918 წელს დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, რუსეთსა და საქართველოში მიიღეს. დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ (მაშინდელი პარლამენტი) საარჩევნო დებულების პირველივე მუხლში ჩაწერა, რომ საქართველოს მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობდნენ „განურჩევლად სქესისა“.

ქუვეიტელმა ქალებმა ეს უფლება 2005 წელს მოიპოვეს. აფრიკისა და ისლამური სამყაროს ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საუდის არაბეთში, გარკვეული შეზღუდვები დღემდე მოქმედებს.

ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე

>>

ქალთა საერთაშორისო დღე ბევრ ქვეყანაში უქმედ არის გამოცხადებული. მაგალითად, ჩინეთსა და მადაგასკარზე მხოლოდ ქალები ისვენებენ, მამაკაცებისთვის კი ჩვეულებრივი სამუშაო დღეა.

1957 წლიდან 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღედ გაერომაც აღიარა.

იუბილე

წელს ქალთა საერთაშორისო დღის 100 წლის იუბილე აღინიშნება.

საუკუნის წინ საკუთარი უფლებების დასაცავად დაწყებული ბრძოლა დღემდე გრძელდება. ისევ გვინევს საუბარი ქალთა უფლებებზე, თანასწორობაზე, ისევ სერიოზულ პრობლემად რჩება ქალთა მიმართ ძალადობა. მათ შორის ამერიკაშიც, სადაც ქალებმა პირველად გამოხატეს პროტესტი.

8 მარტს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თავის მილოცვაში კიდევ ერთხელ შეახსენა მსოფლიო საზოგადოებას, ძალადობისგან დაიცვან ქალები: „ამ მნიშვნელოვან დღეს ვეცადოთ, მოვინახოთ გზები, რათა ქალებს განათლების, ჯანდაცვისა და სამუშაო ადგილის მიღება კიდევ უფრო გაუადვილდეთ. ერთად დავიცვათ მათი უფლება, რომ იცხოვრონ ძალადობის გარეშე“.

8 მარტი და სამოგადოება

წინააღმდეგობების მიუხედავად, რვა მარტი საუკუნეზე მეტია, ცოცხლობს. მას ისევ აღნიშნავენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ზოგისთვის ის დღესასწაულია, ზოგისთვის - მხოლოდ ისტორია, რომელიც ქალებს უკავშირდება, ზოგისთვის - ქალთა უფლებების დაცვის დღე.

რადიო „ძველი ქალაქის“ ჟურნალისტი **თორნიკე ხურციძე** ამბობს, რომ სულაც არ გრძნობს დისკომფორტს იმის გამო, რომ 8 მარტს დაიბადა: „მე არავის ვართმევ ამ დღესასწაულს, მით უმეტეს - ქალებს. პირიქით, თანამოზიარე ვარ მათი სიხარულის. მეც ვიღებ მოლოცვებს. ერთი დღე წელიწადში ქალებს ნამდვილად სჭირდებათ. ეს დღესასწაული უნდა

იყოს, ხოლო სხვა დღეები - მათი უფლებებისათვის ზრუნვა. 8 მარტს მაშინ ექნება განსაკუთრებული სიბლი“.

იაგო ბალანჩივაძე (ფსიქოლოგი): „სრულიად შემთხვევით შევესწარი, 8 მარტს, უნივერსიტეტის წინ ბიჭები გოგონებს ყვავილებს ჩუქნიდნენ. ირგვლივ ყველა ბედნიერი ჩანდა. მემამყებოდა, რომ ეს ჩემს ქალაქში ხდებოდა. საუკუნეა, 8 მარტი აღინიშნება. რადგან საზოგადოებას ახსოვს, ესე იგი საჭიროა. ეს დღე გვახსენებს, რომ ქალებს გავუფრთხილდეთ, ისინი ბედნიერები და ჩვენი თანასწორები გახადნაოთ.“

ელისო ქაროსანიძე (მწერალი): „რა მნიშვნელობა აქვს, რა წარმომავლობა ექნება თარიღს, ვინ იქნება მისი დამაარსებელი, რომელი პოლიტიკური მრწამსის და მიმართულების. თუ ეს დღე ქალთან ასოცირდება, რატომ არ უნდა მივულოცოთ მას განსაკუთრებულად. მე არა ვარ ის ადამიანი, რომელიც თარიღებს განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს. კარგად მაშინ გვექნება საქმე, როცა 8 მარტს მხოლოდ დღესასწაულის დატვირთვა ექნება, როცა არ იარსებებენ ძალადობის მსხვერპლი და საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლი ქალები. სანამ მსგავსი პრობლემები არის, ამ თარიღს ყოველთვის ექნება მუქი ჩრდილი.“

დავით ლიკლიკაძე (ჟურნალისტი): „მამაკაცები ხშირად ვამბობთ, ყველა დღე ქალებს ეკუთვნითო. მერე სად არის, ვის ახსოვს?! აბა ეს რა კაცობაა, წელიწადის სხვა დღეებში ქალები არ ვაღიაროთ, მათი უფლებები შევზღუდოთ და 8 მარტს თაიგულებით მივადგეთ, აი, რა მაგრები ვართ, როგორ ვზრუნავთ თქვენზე. და ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როცა ჩვენს ირგვლივ ასეთი განათლებული, ჭკვიანი ქალები ტრიალებენ.“

გამორიცხულია ნებისმიერი გადანყვეტილება, გამორიცხულია ნებისმიერი სამშვიდობო პროცესის ეფექტურობა, თუკი ქალბატონები არ იქნებიან ჩვენ გვერდით. ამიტომ ეს ერთი დღე მივუძღვნათ ქალებს, ხოლო დანარჩენი დღეები - მათი უფლებების დაცვას, თანასწორობისათვის ზრუნვას.“

საქართველო უორუმი - ქალაქის ჩვენსი ისტორიის

რამდენიმე წელია, ფონდი „სოხუმი“ თანამოაზრეებთან ერთად მსჯელობს ოჯახური ძალადობის პრობლემაზე. თუ უახლოეს ისტორიას გადავხედავთ, ამ მიმართულებით წლების წინ დაწყებულ მუშაობაში დინამიკა თვალშისაცემია.

იყო დრო, როცა ფორუმი განიხილავდა ძალადობის არსებობა-არარსებობას, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა პრობლემას. 2006 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად. დღეს არავინ ეჭვობს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის არსებობას - ეს ეტაპი დიდი ხანია დამთავრდა. ბოლო ფორუმები სწორედ ამით განსხვავდება წინამორბედებისაგან. მუშაობა უკვე პრობლემის გადაჭრის გზების პოვნას გულისხმობს.

„ოჯახში ძალადობის პრევენცია - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ - ასეთი იყო ფონდი „სოხუმისა“ და მენარმე ქალთა ფონდის ერთობლივი სამოქალაქო ფორუმი, რომელიც 8 მარტის მესამე წლისთავს მიეძღვნა. ფორუმი ქუთაისში, სასტუმრო „ტირიფების“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებმა, ფსიქოლოგებმა, იურისტებმა, ლიდერმა ქალებმა, მენარმე ქალებმა.

ფორუმი გახსნა ფონდი „სოხუმის“ თავმჯდომარემ ალლა გამახარიაშვილმა, რომელმაც განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა კოორდინირებული მუშაობის ეფექტურობაზე: „სამწუხაროდ, დღეს ისევ გვინევს საუბარი ძალადობაზე. შევიკრიბეთ, რათა ერთად ვეძებოთ გამოსავალი, ერთად მოვიფიქროთ პრევენციული ღონისძიებები, რადგან მხოლოდ ერთობლივად, კოორდინირებული ქმედებით არის შესაძლებელი პრობლემის მასშტაბების შემცირება.“

მენარმე ქალთა ფონდის თავმჯდომარემ მერი გელაშვილმა მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო. შემდეგ შეკრებილებმა ლელა ჯალალონიასა (ფონდი „სოხუმის“ პროექტის კოორდინატორი) და მირანდა გვანცელაძის (მენარმე ქალთა ფონდის პროექტის კოორდინატორი) მოხსენებები მოისმინეს ძალადობის პრევენციის მიზნით წარმართული საქმიანობის შესახებ.



ფრაგმენტი მოხსენებიდან:

ლელა ჯალალონია:

2005 წლიდან ფონდი „სოხუმი“ აქტიურად მუშაობს ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის დასავლეთ საქართველოში საზოგადოების მობილიზაციის, ქალთა რეაბილიტაციისა და მდგრადი განვითარების გზით.

ჩვენი საქმიანობის მიმართულებები მრავალმხრივია.

საზოგადოების მობილიზაციის ხელშეწყობა ხდება ქალთა მხარდაჭერის 6 ცენტრში: ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში, ფოთში, სენაკსა და ხურჩაში.

ტარდება ტრენინგები ოჯახური ძალადობის პრობლემატიკაზე ქალების და მამაკაცების შერეულ ჯგუფებთან. შედეგად: ამაღლდა საზოგადოების ინფორმირების დონე, გულახდილად დაიწყო საუბარი ძალადობის პრობლემაზე და მისი გადაჭრის გზებზე.

იმართება შეხვედრები გოგონებთან ქალთა უფლებების დაცვისაკენ მიმართული საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტების გაცნობის მიზნით. შედეგად: ახალგაზრდები გაეცნენ საკუთარ უფლებებს და მოვალეობებს, გაიზარდა თვითშეფასების დონე.

ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა ჟურნალისტთა მობილური სადისკუსიო კლუბი, რომელიც ხელს უწყობს ძალადობასთან ბრძოლის აუცილებლობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში მიმდინარეობს **იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შეხვედრები და მასტერკლასები** სხვადასხვა საკითხზე.

საქართველო უოჩუკი - ქალაქის ჩვენსი ისტორია

>>

გენდერული თანასწორობის და ძალადობის წინააღმდეგ პროპაგანდის მიზნით მიმდინარეობს საინფორმაციო მუშაობა, რომელშიც ჩართულია სამოქალაქო საზოგადოება, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ადგილობრივი ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები.

ოჯახური ძალადობის პრობლემის აქტუალობაზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობა შეეძლებოდა დებატების, ტელედისკუსიების, რადიოგადაცემების, ანონიმური რადიომონოლოგების, საინფორმაციო გამოცემების, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიებისა და აქციების გზით. ჩვენს მიერ მომზადებული სოციალური კლიპები გადის ცენტრალური და ადგილობრივი ტელეკომპანიების ეთერით.

ჩვენი ორგანიზაცია ყოველწლიურად აქტიურად არის ჩართული 16-დღიან საერთაშორისო საინფორმაციო კამპანიაში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც ტარდება 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. ფონდმა „სოხუმმა“ 2010 წელს 100-მდე ღონისძიება მოაწყო დასავლეთ საქართველოში.

საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ფორუმ-თეატრმა, რომელიც ორი წლის განმავლობაში სისტემატურად ტარდება სკოლებში, ქუჩაში, დევნილთა კოლექტიურ ცენტრებში. შედეგად: საზოგადოება აქტიურად ერთვება პრობლემის განხილვის პროცესში და მსახიობებთან ერთად ცდილობს გამოახოს ალტერნატიული გზები ძალადობის აღმოსაფხვრელად.

ძალადობის პრევენციას ისახავს მიზნად ფსიქორეაბილიტაცია. ბენეფიციარებს საშუალება აქვთ, დაესწრონ ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეხვედრებს ფსიქოლოგთან, მიიღონ სასარგებლო რჩევები და რეკომენდაციები. ფუნქციონირებს „ცხელი ხაზი“. ბოლო პერიოდში გახშირდა ძალადობის მსხვერპლთა სატელეფონო ზარები, რაც მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

აქტიურად მუშაობს იურისტ-ექსპერტთა ჯგუფი სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება-გაძლიერების მიზნით. ჯგუფი ახორციელებს ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის მონიტორინგს, ატარებს შეხვედრებს სხვადასხვა სტრუქტურაში, ხდება ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვა სამართალდამცავი ორგანოებისგან და სასამართლოდან. კონკრეტულ მიღწევებზე თუ ვილაპარაკებთ, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ერთ შემთხვევას მიენიჭა ოჯახში ძალადობის კვალიფიკაცია და შემაკავებელი ორდერი გაიცა მოძალადე ქმრის მიმართ, რო-

მელიც 23 დღე იქნა დაკავებული; საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებით ერთ არასრულწლოვანს დაენიშნა ალიმენტი; მომზადდა განაცხადი განქორწინებაზე.

ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოების პრობლემაა და მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობის პრაქტიკულად ყველა ასპექტს. მისი შედეგები აისახება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და კავშირშია როგორც საზოგადოების ჯანდაცვასთან, არასრულწლოვნების უფლებების დაცვასთან, ასევე სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობასთან.



ფორუმზე მონაწილე ექსპერტმა ილიკო ნაცვალაძემ გააკეთა მოხსენება „ოჯახური ძალადობის სიტუაციური ანალიზი საქართველოში“.

ექსპერტი თავის პრეზენტაციაში შეეხო იმ შემამფოთებელ სტატისტიკას, რომელიც ნათლად ასახავს ძალადობის პრობლემის მასშტაბს. მისი აზრით, თეორიულად ოჯახი განიხილება უსაფრთხო ადგილად, სადაც ყველა პრობლემა მოგვარებულია, სინამდვილეში კი ოჯახში ირღვევა ადამიანის (ძირითადად, ქალის) უფლებები.

სტატისტიკის მიხედვით:

- ყოველი მე-7 ქალი თავს ძალიან ცუდად გრძნობს, თუ მეუღლე შეურაცხყოფას აყენებს ან დასცინის.
- ყოველი მე-18 ქალი ამბობს, რომ ქმარს დაუმცირებია სხვა ადამიანების წინაშე ან გამიზნულად შეუშინებია.
- ყოველი 28-ე ქალი აღნიშნავს, რომ ქმართან სქესობრივი კავშირი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ჰქონდა.

ექსპერტის აზრით, რეგიონებში უფრო რთული მდგომარეობაა, ვიდრე დიდ ქალაქებში.

ის ქალები, რომელთა უფლებები შეზღუდულია, თავს არასრულწლოვან ადამიანებად თვლიან. ძალადობრივი ქმედებების გავლენის შედეგად ქალთა ერთ მეექვსედს ხელი ეშლება სამუშაოში. ქალთა დიდი ნაწილი უფრო მეტად ფსიქოლოგიურ ზიანზე საუბრობს, ძალადობა მათში საკუთარი თავის რწმენას აქვეითებს.

ექსპერტმა ხაზგასმით ისაუბრა იმ სტატისტიკაზე, რომელიც ძალადობის მსხვერპლ ორსულ ქალებს ეხებათ. გამოკითხული 749 ქალიდან 43% აღიარებს, რომ ქმარმა მასზე ძალა-

დობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მისი ფეხმძიმობის ამბავი გაიგო.

- ძალადობის მსხვერპლი ქალების 27% აღიარებს, რომ ემინია თავისი პარტნიორის.
- 7%-მა მიიღო სიცოცხლისთვის საშიში ტრავმა.
- ქალთა 10%-მა განაცხადა, რომ ძალადობის გამო მათ ორსულობა შეუწყდათ.
- ქალთა 14%-ს ემინია სამშობიაროდან ახალდაბადებულთან ერთად შინ დაბრუნება, რადგან მათ სიცოცხლესთან ერთად შეიძლება ჩვილის სიცოცხლაც საფრთხის ქვეშ დადგეს.

რატომ არ ახმაურებს მსხვერპლი ძალადობას? ძირითადი მიზეზებია: „მერიდება / მრცხვენია / მეშინია, რომ არ დამიჯერებენ / დამადანაშაულებენ / ცუდი რეპუტაცია ექნება ჩემს ოჯახს“.

ძალადობის ფორმებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კონტროლის ფორმა „თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა“.

ექსპერტის აზრით, საინტერესო პასუხები დაფიქსირდა კითხვაზე, ვინ როგორ ამართლებს ძალადობას. როგორც ირკვევა, ქალების ერთი მესამედი ამართლებს ძალადობას.

ილიკო ნაცვალაძემ პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკა შესთავაზა აუდიტორიას:

- პოლიციაში შესული ყოველი მეოთხე საქმე ოჯახში ძალადობას უკავშირდება.
- პოლიციელთა 81% და საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა 86% მიიჩნევენ, რომ ოჯახური პრობლემების მსხვერპლი ქალია.
- პოლიციელთა 92%-ის აზრით, ქალთა მიმართ განხორციელებული ყველა სახის ძალადობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ოჯახში ძალადობა იმსახურებს.
- პოლიციელთა 92% თვლის, რომ ოჯახში ძალადობა სერიოზული პრობლემაა.

ექსპერტის გამოსვლის შემდეგ ფორუმი ჯგუფურ მუშაობაზე გადავიდა. ჯგუფები ერთი საათის განმავლობაში ცდილობდნენ ძალადობის პრევენციული მექანიზმების შემუშავებას.

ჭეუფი „სახელისუფლებო სტრუქტურები“

ფასილიტატორი ემა კამკია: „ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ საჭიროა სერიოზული საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობა და სხვადასხვა რგოლის ერთობლივი ძალისხმევა ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. გამოიყო ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი ძალადობის პრევენციის კუთხით. ზოგიერთი მონაწილის აზრით, ადრე უფრო მეტი იყო ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეში ჩართული შესაბამისი სამსახური.“

ვიმსჯელებთ სოციალური მუშაკის ინსტიტუტზე, რომელიც კანონში ჩადებულია, მაგრამ ჯერჯერობით ქმედითი არ არის. არ არსებობს რგოლი, რომელიც კადრებს მოამზადებს. გამოითქვა აზრი, რომ ცოტაა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ქალების, ბავშვების სოციალურ დაცვას. არსებული პროგრამებიც არ იძლევიან ხელშესახებ შედეგებს. საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს „ბავშვზე ზრუნვის რეფორმის მიმართულება“, რომელიც 2010-11 წლებისთვის პრიორიტეტებს გამოყოფს. საჭიროა მსგავსი პროექტების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა.

ჯგუფმა „იდეის ფარდაგზე“ ჩამოაყალიბა ძალადობის პრევენციისაკენ მიმართული ძირითადი ღონისძიებები. მათ შორის პრიორიტეტულია კანონის სრული ამოქმედება, სამოქალაქო განათლების ამაღლება, სწორი აღზრდა.

სახელისუფლებო სტრუქტურები ხაზს უსვამენ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრების ამოქმედებას, ფსიქოლოგის ინსტიტუტის დანერგვას და პოპულარიზებას სკოლებში.

პრევენციისას ხაზი გაესვა მედიის გააქტიურებას, ჟურნალისტური ეთიკის, პროფესიონალიზმის, მსხვერპლთა კონფიდენციალობის დაცვას. პასუხისმგებლობა დააკისრეს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, შესაბამის სამინისტროებს (შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ეკონომიკის, განათლების), არასამთავრობო სექტორს, კერძო პირებს.“



ჭეუფი „იურისტები, ადვოკატები, ფსიქოლოგები“

ფასილიტატორი ფიქრია ქლიბაძე: „პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ერთხმად აღინიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში გვხვდება ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობა.“

პრევენციულ ღონისძიებებს შორის პირველ ადგილზე დასახელდა საზოგადოების ინფორმირებულობა. შეკრებილებმა აღნიშნეს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამებს, ტრენინგ-სემინარებს, შეხვედრებს. ხაზი გაუსვეს ამ ღონისძიებების ჩატარების განსაკუთრებულობას რეგიონებში.

სამოქალაქო ურთიერთობების - ქალაქის ჩინოვნიკების

>>

დიდი დატვირთვა მისცეს მედიასაშუალებების ჩართვას პრობლემის მოგვარების მექანიზმებში; იყო საბავშვო ბაღებსა და სკოლებში ფსიქოლოგის ინსტიტუტის დანერგვის წინადადება.

ცალკე პუნქტად გამოიყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების გადამზადება. იყო წინადადებები მოძალადისთვის საჯარიმო სანქციების გაზრდისა და ოჯახის ფენომენის პოპულარიზების თაობაზე.

პრევენციულ ღონისძიებებში ჯგუფის წევრებმა დააფიქსირეს, რომ აუცილებელია სახელმწიფოს როლის გაზრდა, ეფექტური სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შემუშავება, საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება და ადვოკატირება.“



ზოგადოებრივი დებატები, ფორუმ-თეატრი, სოციალური ქსელები. ფსიქოლოგებმა ხაზი გაუსვეს თავშესაფრების არსებობას, რომლებიც გაუადვილებს ძალადობის მსხვერპლ ქალებს საზოგადოებასთან ადაპტაციას.

ჯგუფმა პრევენციულ ღონისძიებებში დააფიქსირა უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, საზოგადოების მხრიდან მეტი თანადგომა და მხარდაჭერა“.

გზეუდი „სამოგადოება (ლიდერი ქალები)“

ფასილიტატორი თეა გოლეტიანი: „მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობა. მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ექიმმა-გინეკოლოგმა ლორიტა მიქავამ რამდენიმე ისტორია გაიხსენა თავისი პაციენტების ცხოვრებიდან. მისი აზრით, ხშირად ქალს არა აქვს უფლება, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, რამდენი შვილი უნდა ჰყავდეს, გოგო გააჩინოს თუ ბიჭი.

მთელი ჯგუფი ერთიანი იყო იმ მოსაზრებაში, რომ სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები ერთიანად შეძლებენ ძალადობის პრობლემის გადაწყვეტას.

პრევენციულ ღონისძიებებზე საუბრისას აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ოჯახის ეკონომიკური სტაბილურობა, რადგან სოციალური პრობლემები ხშირად ხდება ოჯახური ძალადობის მიზეზი. აქედან გამომდინარე, უფრო მეტი სახელმწიფო პროგრამა უნდა არსებობდეს.

აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებით, როგორცაა: საინფორმაციო შეხვედრები, სა-

გზეუდი „მასმედია“

ფასილიტატორი მანანა ლემკაშელი: „მედიის ჯგუფს წარმოადგენდნენ ადგილობრივი და რეგიონალური ტელეკომპანიების, პრესისა და რადიოს ჟურნალისტები.

მუშაობის პროცესში მიზანდასახული და კოლეგიალური იყო ჯგუფის თითოეული წევრი, ცდილობდნენ, საკუთარი გამოცდილება გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის - ჯგუფის წევრთა დამოკიდებულებამ მუშაობის პროცესი უფრო ცოცხალი და დინამიური გახადა.

ჟურნალისტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ დღეის შემდეგ ისინი უფრო ღრმად შეისწავლიან და ხშირად დასვამენ აღნიშნულ საკითხს.

ჟურნალისტების აზრით, ჩვენს საზოგადოებაში განსაკუთრებით აქტუალურია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. ხაზგასმით ისაუბრეს ბავშვთა მიმართ ძალადობის ნეგატიურ შედეგებზე.

ძალადობის პრევენციისათვის ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილება, კანონის სრულყოფა, საგანმანათლებლო მუშაობა ახალგაზრდებთან, ტრენინგები ჟურნალისტებისათვის, სპეციალური ჟურნალების გამოცემა, სიუჟეტების მომზადება, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული აქციებისა და იმიტირებული სპექტაკლების ჩატარება.



მათი აზრით, სწორედ ამ სფეროს წარმომადგენლებს ევალებათ ძალადობის პრობლემის გააღწერება - სპეციალური მასალების მომზადება ჟურნალისტიკის ეთიკური ნორმების გათვალისწინებით.

ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ პრევენციული ღონისძიებები სისტემატურად უნდა მიმდინარეობდეს, მხოლოდ ასე შეიძლება წარმატების მიღწევა.

სპეციალურმა მობილურმა ჯგუფმა თითოეული ჯგუფის წამუშევრის გამოყენებით ოჯახში ძალადობის პრევენციის სტრატეგია და ერთიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

საყრებულოს წევრები

ძალადობის პრობლემაზე

ფორუმის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წევრებმა. საინტერესოა მათი თვალთ დახსული პრობლემა და მოგვარების გზები.

მანანა კიკაბიძე (ქუთაისის საკრებულოს წევრი): „ძალადობა ქალთა მიმართ არ არის მარტივი პრობლემა. მისი მიზეზები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მის წინააღმდეგ ერთი მიმართულებით მუშაობა ნამდვილად ვერ მოგვცემს შედეგს. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ერთად ვცდილობთ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას. პასუხისმგებლობა უნდა აილოს ყველა რგოლზე, ყველა სტრუქტურაზე. ჩვენ დღეს სწორედ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ეს პასუხისმგებლობა გავინანილოთ.“

გიორგი შავგულიძე (ქუთაისის საკრებულოს წევრი): „ძლიერი სახელმწიფო არ არსებობს ძლიერი ოჯახების გარეშე, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი სწორედ ჯანსაღი ოჯახები უნდა იყოს, თუმცა ამას, სამწუხაროდ, ვერ ექცევა სათანადო ყურადღება; დიდი მადლობა ფორუმის ორგანიზატორებს, რომლებმაც განხილვის საგნად აქციეს ეს პრობლემა და ამ მიმართუ-

ლებით ასეთ აქტიურ მუშაობას ეწევიან. ჩვენი პარტია სპეციალურ ბრიფინგს მიუძღვნის ამ პრობლემას და მზად ვართ, გვერდით დაგიდგეთ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.“

ლელა დიასამიძე (სამტრედიის საკრებულოს წევრი): „ქალთა მიმართ ძალადობა სერიოზული პრობლემა არა მხოლოდ საქართველოში. თუმცა მიზეზი ყველგან სხვადასხვაა. ჩვენთან - ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი უდევს საფუძვლად. მივესალმები იმას, რომ დღევანდელ ღონისძიებაში საუბარი იყო ქალთა მენარმეობის განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე. ეკონომიკური ფონის გაძლიერება ქალებს საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილონ ძალადობა, რადგან ჯერ კიდევ ცოტაა სახელმწიფო სოციალური პროგრამა.“

იზოლდა ოდიკაძე (ზესტაფონის საკრებულოს წევრი): „ქალები ძლიერები არიან, მაგრამ მათ მაინც სჭირდებათ თანადგომა და მხარდაჭერა. ჩვენს სახელმწიფოს არ შეუძლია, ქალებს შეუქმნას სამუშაო ადგილები, დაეხმაროს მრავალშვილიან დედებს, მარტოხელებს. ადგილობრივი ბიუჯეტი ძალიან მცირეა და, რა თქმა უნდა, ცოტაა ქალთა მიმართ განეული დახმარებაც. მაგრამ თუ ყველა რგოლი ერთმანეთს დაეხმარება, ყველა დონეზე, ყველა მიმართულებით გაიშლება მუშაობა, ამაზე მეტს პრობლემის აღმოსაფხვრელად ვერაფერს გავაკეთებთ, შედეგები მალე გამოჩნდება.“

ხათუნა გოგუა

მედიის როლი განსაჯურებულში

ადრე მიაჩნდათ, რომ ძალადობის და განსაკუთრებით ოჯახური პრობლემა საზოგადოების განსჯის საგანი არ უნდა იყოს, შესაბამისად - ნაკლებად საუბრობდნენ ამ პრობლემაზე საინფორმაციო საშუალებებში.

დღეს კი არაერთი სოციალური კლიპი ტრიალებს, საინფორმაციო გამოშვებების ნომერ პირველი თემა ხშირ შემთხვევაში ძალადობაა... თითქოს ნელ-ნელა აეხადა ტაბუ თემას - ქართულ პრესაშიც უფრო ხშირად იბეჭდება სტატიები ოჯახური ძალადობისა თუ ტრეფიკინგის მსხვერპლ ქალებზე.

ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი, როდესაც მცირე გამოკითხვა ფორუმის მონაწილე ჟურნალისტებთან. რამდენიმემ აღიარა, რომ აღნიშნული თემა არ გაუშუქებია.

- ვეცდები ძალადობის მსხვერპლთა კონკრეტული მაგალითების გაშუქებას, - აცხადებს რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი **თათა კაჭკაჭიშვილი.**

საქართველო უიწი - ქალაქის ჩინსიისთის

>>

- დღევანდელი ფორუმის შემდეგ დიდი სურვილი მაქვს, მოვამზადო წერილი ან სიუჟეტი ამ თემასთან დაკავშირებით, აქტიურად ჩავეება ძალადობის წინააღმდეგ აქციაში, - აღნიშნავს ელისო ქაროსანიძე, ტელეკომპანია „რიონის“ ჟურნალისტი.

- მივიჩნევ, რომ ყველა ადამიანი თავის შესაძლებლობების მიხედვით უნდა გაილაშქროს ძალადობის წინააღმდეგ. ნებისმიერი ხასიათის ძალადობა საზოგადოებისათვის მიუღებელი უნდა იყოს, - ამ აზრისაა მარინა გამყრელიძე (ტელეკომპანია „რიონი“).

- ძალადობის აქტუალობას სოციალური გარემო კიდევ უფრო უწყობს ხელს, - მიიჩნევს ტელეკომპანია „მეგა-TV“ ჟურნალისტი ანი კალმახელიძე. - მედიასაშუალებები ხშირად ინტერესდებიან ძალადობის ფაქტებით, თუმცა პრობლემის მოგვარების კუთხით აქტიურობა არ შეიძლება. ვფიქრობ, დღევანდელი შეხვედრა მოგვცემს საშუალებას, ჟურნალისტებმა მეტი აქცენტი გავაკეთოთ ძალადობის დასაძლევად.

- გავლილი მაქვს „ინტერნიუსის“ სპეციალური ტრენინგ-სემინარები ბავშვთა ძალადობის თემაზე. გამომავლილება ყურადღება აბორტების თემაზეც - სქესის დადგენის შემდეგ ქალები ხშირად იკეთებენ აბორტს. მას შემდეგ, რაც მე და ჩემმა გუნდმა ეს თემა წამოვნიეთ, საკითხი კიდევ უფრო აქტუალური და მედიისათვის საინტერესო გახდა და არაერთი სიუჟეტი მომზადდა, - ნინო ნებიერიძე, ტელეკომპანია „რიონის“ ჟურნალისტი.

დილის გადაცემის წამყვანი ნინო ნებიერიძე ამბობს, რომ სამომავლოდ პირდაპირ ეთერში სწორედ ძალადობის თემას დასვამს, მოიწვევს სპეციალისტებს, იქნება სატელეფონო ზარები სტუმართან.



რადიო „ძველი ქალაქის“ ჟურნალისტს გვანცა თოთაძეს ძალადობის პრობლემის გაშუქების სურვილი ფონდმა „სოხუმმა“ გაუჩინა. გვანცა ფონდი „სოხუმის“ ახალგაზრდა ჟურნალისტთა სადისკუსიო კლუბის წევრია:

- ხშირად მინევს ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გაშუქება. კონკრეტული, რეალური მაგალითები ჯერ არ გამიშუქებია, ჟურნალისტური მოღვაწეობის ჯერ მხოლოდ ერთწლიანი გამოცდილება მაქვს, სამომავლოდ აუცილებლად ავიღებ თემას, რომელიც ამ პრობლემასთან იქნება კავშირში - გადაჭრის მიზნით ვეცდები ჩემს გადაცემებში ჩავრთო იურისტები, ფსიქოლოგები და მედიის წარმომადგენლები.

საინტერესოა გაზეთ „P.S“-ის ჟურნალისტის, ნათია ადვიშვილის მოსაზრება: „აუცილებლად გავაშუქებ ძალადობის პრობლემას. ჩემი ჟურნალისტური მასალა იქნება საინფორმაციო ხასიათის, ეთიკური ნორმების დაცვით“.

- ეკონომიკის ჩავარდნამ ცხოვრების დონის დეგრადაცია გამოიწვია, - ამბობს მწერალი და ჟურნალისტი ლია გვენეტაძე, რაც მისივე სიტყვებით, თითოეული ოჯახის ყოფაზე აისახება: „საზოგადოება გახდა ფსიქონევროზული, რადგან ყოველდღიურ საარსებო ლუკმაზე გადაგებული ადამიანები მაღალი მატერიებისთვის ველარ იცლიან. შესაბამისად, იმატა აგრესიამ ოჯახებში, რაც სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა. იდეოლოგიური ფონი, რაც ყოველდღიურად გვეძლევა ელექტრონული და ბეჭდვითი მედიით, ადამიანებს ფასეული ღირებულებების დავინყებაში დაეხმარა და აიძულა, უარი ეთქვა იმ ეთნოტრადიციებზე, რაც აქამდე ინახავდა და ინარჩუნებდა ერს და ოჯახს.

თუ ჩვენ, როგორც ერი და როგორც საზოგადოება, არ გავიზრდებით პოლიტიკურად და არ დავინყებთ ბრძოლას ეთნოკულტურული ჩვევების შენარჩუნებისათვის, არაფერი გამოვა. ამისათვის კი ყოველმა ქალმა თავგანწირვამდე უნდა ვიბრძოლოთ!“

რადიო „ძველი ქალაქისა“ და ფონდი „სოხუმის“ ჟურნალისტი ლია ხარაბაძე არა მხოლოდ რადიოგადაცემებს ამზადებს ძალადობის თემაზე, არამედ სტატიებსაც წერს: „ვცდილობ, უფრო ფართოდ გავაშუქო პრობლემა. მოვუსმინო საზოგადოების ყველა სფეროს წარმომადგენელს, პროპაგანდა გავუწიო არაძალადობრივ კულტურას.“

აღნიშნული პრობლემის დასაძლევად ჟურნალისტები განსაკუთრებულ მისიას ანიჭებენ სახელმწიფოს, სამართალდამცავ ორგანოებს,

არასამთავრობო სექტორს. თავადაც როდი გაურბიან პასუხისმგებლობას - მედიის განსაკუთრებულ როლზე საუბრობენ. მათი აზრით, საჭიროა მუდმივი მუშაობა პრევენციული ღონისძიებების მიზნით, ეს აუცილებლად გამოიღებს სათანადო შედეგს.

ფორუმის მონაწილეთა შეფასებით

დავით ლიკლიკაძე (პირველი არხის რეგიონული ჟურნალისტი): „კარგად მახსოვს, ფონდმა „სოხუმმა“ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემაზე ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო მუშაობა, როცა არათუ ქუთაისში, საქართველოშიც კი იშვიათად გაიგებდით ამ საკითხზე საუბარს. ტელეკომპანია „რიონში“ გადიოდა ფონდის მიერ მომზადებული გადაცემები, სადაც ქალებმა ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რაზეც საზოგადოება ჯერ კიდევ დუმდა. რა შეიცვალა?! ბევრი რამ! თუნდაც ის, რომ დღეს გვერდიგვერდ სხედან ქალები და მამაკაცები, მედია და სახელმწიფო

სტრუქტურები, ფსიქოლოგები და იურისტები და ერთად მუშაობენ პრობლემის პრევენციულ მექანიზმებზე.“

თამარ ფაჩულია (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის დირექტორი): „ძალადობის პრობლემის ნეგატიური შედეგები იმდენად დიდია, რომ აუცილებელია სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება. დღეს ჩვენ საშუალება მოგვეცა, სწორედ ამ ასპექტების გათვალისწინებით შეგვემუშავებინა ძალადობის პრევენციული მექანიზმები.“

ციცი ჯინჯიხაძე (ფსიქოლოგი): „პირველად არ ვესწრები ამ ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ფორუმს, პირველად არ ხდება ასე საჯაროდ ამ პრობლემის განხილვა. მნიშვნელოვანია, რომ აქ სხვადასხვა სტრუქტურის, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები შევიკრიბეთ. ერთობლივად ხდება საერთო სტრატეგიის შემუშავება.“

მანანა ლუბაშელი



„ზოდის უნდალისთუი“

ჩვენი ისტორია არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ მე მგონი მოყოლად ღირს, რადგან მიუხედავად „მცირე წარსული-სა“, სათქმელიც ბევრი დაგვიგ-როვდა და საამაყოც.
ზუსტად ხუთი წლის წინ ფონდი „სოხუმის“ მიერ ჟურნა-ლისტებისთვის გამოცხადებული კონკურსის ერთ-ერთი გამარჯ-ვებული გახდი. ეს გამარჯვება ჩემი ფემინისტური აზროვნების და კიდევ ბევრი ახალი იდეის და-საწყისი გახდა.

სწორედ მაშინ გაუჩნდა „ქალთა ხმის“ რედაქტორს, ლალი შენგელიას იდეა, რომ ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბი შეე-ვექმნა.

12

ფონდ „სოხუმში“ კარგი იდეები ყოველთვის იქცევა საქმედ - ალლა გამახარიასა და მერი გე-ლაშვილის მხარდაჭერამაც არ დააყოვნა.

ჩვენც დავიწყეთ - მე და ჩემმა რამდენიმე კოლეგამ. პირველი, რისი გაკეთებაც გადავ-წყვიტეთ, ეს იყო ახალგაზრდული ჟურნალი „ფემინა“.

ცოტა ხანში გადავწყვიტეთ, დაგვეარ-სებინა ჟურნალისტური სახელოსნო, სა-დაც მომავალი ჟურნალისტები გაერთიან-დებოდნენ. სიტყვა „მომავალი“ პირობითი იყო, რადგან სახელოსნოს წევრები სკო-ლის მოსწავლეები იყვნენ და პროფესია ჯერ კიდევ არ ჰქონდათ არჩეული.

დავიწყეთ ჟურნალისტიკის ანა-ბანადან. ძალიან მალე მათთან ერთად ჩვენც, მათმა მასწავლებლებმა დავიჯერეთ, რომ „ნამდვილი ჟურნალისტები“ გახდნენ.

„მიუხედავად იმისა, რომ ეს დღეები წარ-სულს ჩაბარდა, იქ მიღებული ცოდნა, გამოც-დილება, მეგობრობა, სიახლეები ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იქნება. მე ვერ გავამართლე სახელოსნოს იმედეები და პრო-ფესიად ჟურნალისტობა არ ამირჩევია, მაგრამ სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისას ძალიან მაძგება სახელოსნოში მიღებული ცოდნა - ნე-რისა და მეტყველების კულტურა, კრიტიკული აზროვნება, მოვლენების შეფასება. ვფიქრობ, ეს თვისებები ყველა პროფესიის ადამიანისთვის ძალიან საჭიროა“, - იხსენებს ლელა შამათავა.

ლელასგან განსხვავებით, ჟურნალისტიკის რთული გზა მისმა დამ - თაკომ აირჩია. მის გარ-და კიდევ - ნინო მხეცაძემ, ნათია ჩაფიძემ.

ნინო მხეცაძე: „როგორც კი ამ სახელოს-ნოში მოვხვდი, იმ წამსვე მივხვდი, რა იყო ჩემი მოწოდება. იმის გარდა, რომ წერის ნიუანსებს და კრიტიკულ აზროვნებას ვსწავლობდით, სხვა ფასეულობებიც გვიჩნდებოდა, მაგალითად: გენდერზე, ძალადობაზე, ქალის უფლებებზე. საუკეთესო დღეები იყო.“

თამარ შამათავა: „ჟურნალისტურ სახელოს-ნოში ორი ნაყოფიერი წელი გავატარე. აქ გავე-ცანი ჟურნალისტიკის საფუძველებს, ინტერ-ვიუს აღებისა და რესპონდენტთან მუშაობის ტექნიკას. თეორიულ სწავლებასთან ერთად საინტერესო იყო პრაქტიკული საქმიანობა, სტატიების წერა, იმიტირებული „პირდაპირი



სადისკუსიო კლუბის წევრები გვანცა თოთაძე და თორნიკე ხურციძე ახალგაზრდებთან შეხვედრის დროს

ეთერით“ მოვლენების გაშუქება. სახელოსნოში ვისწავლეთ გენდერული პრობლემების გამოკვეთა. აქ ავიღე ჩემი პირველი ჰონორარი და აქ ვიგეგმე ჟურნალისტურ კონკურსებში გამარჯვების სიხარულიც. სახელოსნომ დიდი გავლენა იქონია ჩემი პროფესიის არჩევაზე. ახლა ჟურნალისტიკაზე ვსწავლობ. ხშირად, როცა ტერმინოლოგიას ან მეთოდოლოგიას გვიხსნიან, ჩემთვის ნაცნობი რამაა და ეს ჟურნალისტური სახელოსნოს დამსახურებაა.“

ქეთი მურუსიძე: „განსაკუთრებით დამამახსოვრდა პენ-მარათონი, რომელიც ურეკში ჩავატარეთ. მზისა და ზღვის სიახლოვეს ვწერდით, ვფიქრობდით ქალის თემაზე. მართალია, მე ჟურნალისტი არ ვიქნები, მაგრამ როგორც მომავალ პოლიტოლოგს აუცილებლად დამჭირდება ყველა ჟურნალისტური ხერხი.“

თიკო ჩიხლაძე: „ყოველი დღე არაჩვეულებრივი, ხალისიანი, მნიშვნელოვანი და მრავალისმომცემი იყო. მე მომავალი პედაგოგი ვარ და რაც ვისწავლე, ყველაფერი გამომადგება ჩემი პროფესიის დაუფლებისას. მადლობა ამ დღეებისთვის.“

მარტო მათ მადლობას არ ვჯერდებოდით, აქ მიღებულ ცოდნას კონკურსების მეშვეობით ვამონმებდით. ვწერდით ქალთა უფლებებზე, ქალის როლზე. შედეგიც არ აყოვნებდა. ისინი ყოველთვის გამორჩეულნი იყვნენ. გვიხაროდა და ვამაყობდით.

პროექტი „ჟურნალისტური სახელოსნო“ დასრულდა, კურსდამთავრებულები სხვადასხვა გზით წავიდნენ, ჩვენ მუშაობა გავაგრძელებთ...

სხლა ჟურნალისტიკის სახელოსნოში წამდვილი ჟურნალისტები არიან, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები. აქ ჟურნალისტიკის „ანა-ბანადან“ არ დაგვიწყია, დღეს ისინი ჩვენთან ერთად წყალტუბოში, ხონში, ვანსა თუ სამტრედიის რაიონში და თანატოლ გოგო-ბიჭებთან ერთად სხვადასხვა პრობლემაზე დებატებს ატარებენ.

მაკა შარაშენიძე: „აქ გატარებული დღეები დაუვიწყარი იქნება ჩემთვის, ვსაუბრობთ, ვთამაშობთ, ვკამათობთ და ჭეშმარიტებას იბადებთ.“

გვანცა თოთაძე: „ეს არის დღეები, რაც მჩუქნის კარგ მეგობრებს, ამიხილა თვალები ბევრ საკითხზე, ეს არის დღეები, რომლებიც გიჩენს სურვილს, რომ კიდევ ბევრი ასეთი დღე გქონდეს.“

ჩვენ ესენიც გვეამაყება.

ეს ყველაფერი არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო, არადა ჟურნალისტიკის სახელოსნოს უკვე თაობები ჰყავს...

მაკა ჩინიჭიშვილი

გთავაზობთ ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბის ყოფილი და ახლანდელი წევრების სტატიებს.

ტრენინგის თემა - ქუთაისელი ჟურნალისტისთვის

არასამთავრობო ორგანიზაციებმა „ქალები მომავლისათვის“ და „World Vision“ ქუთაისში ორდღიანი ტრენინგი ჩატარეს ტრენინგის თემაზე. შეხვედრას ადგილობრივი ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

ტრენინგს უძღვებოდნენ ფსიქოლოგები ეკა ჯაველიძე და თამუნა სანიკიძე.

შეხვედრა ინფორმაციული და სიახლისშემცველი გამოდგა. ტრენინგის ერთ-ერთი მონაწილე ვიყავი მეც (ტრენინგის ორგანიზატორებმა მაკა ჩინიჭიშვილმა და ლელა ხაჭაპურიძემ მიმინვიეს - ჩემმა მასწავლებლებმა ახალგაზრდა ჟურნალისტთა კლუბში, მათთან დღემდე მაქვს ურთიერთობა).

მართალია, ჯერ არც ერთ მედიასაშუალებას არ წარმოვადგენ, მაგრამ მომავალი ჟურნალისტი ვარ და მიღებული ცოდნა დამეხმარება ჩემს საქმიანობაში.

ადამიანებით ვაჭრობა, XXI-ის საუკუნის მონობა - ასე განმარტავდნენ ტრენინგის წამყვანები ტრენინგის. მათივე თქმით, „ტრენინგის გი, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ფორმა, თავისი მასშტაბით უტოლდება ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობას.“

ტრენინგზე ყურადღება გავამახვილეთ ტრენინგის გამომწვევ მიზეზებზე. ადამიანებით ვაჭრობას, ძირითადად, განაპირობებს მძიმე სოციალური ფონი და ის, რომ საზღვარგარეთ მუშაობის მსურველები არ ფლობენ ზუსტ და სრულ ინფორმაციას გამგზავრებისა და სამუშაო პირობების შესახებ.

ამიტომაც, თუ სიფრთხილედ არ გამოიჩინა, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს ტრენინგის მსხვერპლი. თუმცა ხშირად საზოგადოება ტრენინგის მსხვერპლად მხოლოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებსა და არაჯანსაღი ფსიქიკის ადამიანებს მოიაზრებს, რაც არასწორია.

ამგვარი მიდგომა ეფუძნება სტერეოტიპებს,

რაც დისკრიმინაციას იწვევს, დისკრიმინაცია კი – ძალადობას. სწორედ ამ სამი კომპონენტისგან შედგება ტრენინგზე განხილული არატოლერანტული სამკუთხედი.

რა სიმწვავეთ დგას ტრეფიკინგი საქართველოში? ამ კითხვის პასუხიც მოვისმინეთ: „ტრეფიკინგის რისკი განსაკუთრებით დიდია იმ ქვეყნებში, სადაც მიგრაციის მაღალი მაჩვენებელია. საქართველო სწორედ ასეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება. სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 70%-ს სურს სამუშაოდ წასვლა, 30% თანახმაა არალეგალურად იმუშაოს, 40% მზადაა შეასრულოს ნებისმიერი სახის სამუშაო.“

როგორც ითქვა, მრავალი ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით, ტრეფიკინგი მძიმე დანაშაულად არის აღიარებული. ადამიანებით მოვაჭრენი მკაცრად ისჯებიან. მსხვერპლთა დაცვის პროგრამები უზრუნველყოფს უფასო კონსულტაციებს, თავშესაფარს, უფასო იურიდიულ დახმარებას და სასწრაფო ტრანსპორტირებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მეორე დღე, როცა პრაქტიკულ სამუშაოზე გადავედით. სამი ჟურნალისტი პირობითად ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო, დანარჩენები სამ ჯგუფად დაგვყვეს: რადიოჟურნალისტები, ტელეჟურნალისტები, ბეჭდური მედიის წარმომადგენლები. თითოეულ ჯგუფს „გვყავდა“ ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომლისგანაც ინტერვიუ ავიღეთ. შემდეგ წარმოვადგინეთ გეგმა, როგორ გავაშუქებდით მასალას. სამივე ჯგუფმა დავალებას თავი გავართვით, მივიღეთ შენიშვნებიც და რჩევაც: ტრეფიკინგის მსხვერპლთან მუშაობა სპეციფიკურ მიდგომას გულისხმობს.

მასალა უნდა შეიცავდეს ფსიქოლოგის, სამართალმცოდნის კომენტარს, არ უნდა შევზღუდოთ რესპონდენტები დროში, ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენთვის მისი ამბავი სულ ერთი არ არის, გულისყურით და თანაგრძნობით უნდა მოვუშინოთ და შევთავაზოთ დახმარება – შესაბამის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით.

აღმოჩნდა, რომ ტრენინგის მონაწილეთაგან არც ერთს არ ჰქონდა ნამუშევარი ტრეფიკინგის თემაზე. მიღებული ცოდნა დაგვეხმარება, გასაშუქებელი მასალა სწორად ავაგოთ და ძალადობისა თუ ტრეფიკინგის მსხვერპლისგან ინტერვიუს ალებისას სათანადო სტანდარტები დავიცვათ.

თამარ შამათავა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (ჟურნალისტიკის) მეორე კურსის სტუდენტი

**„ჩაქორნი
წაქორსულნი
სოლიდნი
ასრულიანული
თქალნი...“**

„ჩემი მშობლები განქორნი-
ნებულნი არიან. როცა ეს მოხდა, 8
წლის ვიყავი. სანამ დაშორდებოდ-
ნენ, ძალიან რთულ გარემოში
მიხდებოდა ცხოვრება, იყო გამუდ-
მებული ჩხუბი და ერთმანეთის
შეურაცხყოფა, მაგრამ მშობელი
მშობელია და სხვა ადამიანი მას ვერ
შემიცვლის. რამდენჯერ წამოვსულ-
ვარ სკოლიდან აცრემლიანებული
თვალებით, როცა ვუყურებდი ჩემს
თანატოლებს, ორივე მშობელი თავ-
ზე რომ ადგა.“

გიორგი ახლა 16 წლისაა და დღესაც ძალიან მტკივნეულად განიცდის ამ ამბავს. განქორნიება ყველაზე დიდ ტრავმას ბავშვებს აყენებს, თუმცა საკუთარი პრობლემების ფონზე მშობლები ამას ვერ აცნობიერებენ.

დანგრეული ოჯახები საზოგადოებისთვის ნაცნობი თემაა.

რაზე მეტყველებს ოფიციალური სტატისტიკა:

- 2007 წელს განქორნიების გადანყვეტილება 325 წყვილმა მიიღო.
- 2008 წელს - 3189-მ.
- 2009 წლის მონაცემებით, საქართველოში განქორნიების 4030 ფაქტი დაფიქსირდა.
- 2010 წლის სტატისტიკური მონაცემები ჯერ არ არის, მაგრამ სპეციალისტები ამბობენ, რომ ოჯახის ნგრევის შემთხვევებმა იმატა.

რის გამო ინგრევა ოჯახები?!

ადრეულ ასაკში შეუღლება ერთ-ერთი მიზეზია. ადამიანი ჩამოუყალიბებელია, ჯერ კიდევ კარგად არა აქვს გააზრებული ოჯახის ცნება და მისი ტვირთი. დაოჯახებიდან გარკვეული დროის შემდეგ ახალგაზრდები ხვდებიან, რომ მათი შეუღლების მიზეზი სიყვარული კი არა, ბავშვური გატაცება ყოფილა.

„16 წლის გავთხოვდი, ჩემი მეუღლე 17 წლის იყო. მაშინ მართლაც არ გვესმოდა, რამხელა პასუხისმგებლობა ავიღეთ ჩვენს თავზე. ერთი

ნელი თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ შემდეგ ქმარი სულ უფრო და უფრო ხშირად გარბოდა შინიდან. ოთხი წელი ვცხოვრობდით სრულ უთანხმოებაში. ნერვიული აშლილობა ჩამომიყალიბდა და გაუსაძლისი ხდებოდა ჩვენი ერთად ყოფნა, ამიტომაც დავშორდით,“- გვე-უბნება 22 წლის ეკა.

დღეს ხშირია შემთხვევა, როცა წყვილები ინარჩუნებენ ოჯახს და ბევრ ქალს უწევს მსხვერპლის გაღება, ძალადობის გადატანა, პიროვნულ ბედნიერებაზე უარის თქმა. თუმცა ახალგაზრდები გაცილებით თამამად ანგრევენ ოჯახებს.

ქალაქებში ეს პრობლემა უფრო ნაკლებადაა, ძალზე რთულია სიტუაცია რეგიონებში. სამ-ნუხაროდ, იქ ხალხის აზრს აყენებენ პიროვნულ ბედნიერებაზე წინ.

„ოთხი წელი გავატარე ქორწინებაში, თუმცა ბევრი რამის გადატანა მომიხდა. არ მსურდა, ბავშვი უმამოდ გაზრდილიყო, მაგრამ მეტიც ატანა აღარ შემეძლო. რას იტყვის ხალხი, ეს უკვე ნაკლებად მაინტერესებს“, - ლიკა, 21 წლის.

ზოგჯერ მესამე პირის ჩარევით ინგრევა ოჯახები. ეს წყვილების ურთიერთობაზე უარ-ყოფითად აისახება და მსგავსი რამ ბევრჯერ გამხდარა ქორწინების დასასრულის წინაპირობა.

„ბედნიერად ვცხოვრობდით, თუმცა არ არსებობს ოჯახი, სადაც სრული იდილია სუფევს. ჩვენც გვექონდა რთული მომენტები, რომლის გადალახვაც შეიძლებოდა, მაგრამ ჩემი ოჯახის დანგრევაში დიდი წვლილი მიუძღვის დედამთილს, ის მუდმივად ცდილობდა, მეუღლე ჩემს წინააღმდეგ განეწყო და შედეგსაც მიაღწია,“- ნანა, 26 წლის.

ოჯახის დანგრევის ძირითადი მიზეზებია: ოჯახის შექმნა მცირეწლოვან ასაკში; გენდერული როლების არასწორად განაწილება; ეკონომიკური პრობლემები, განსაკუთრებით უმუშევრობა; ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ძალადობა; ღალატი (სექსუალური პრობლემები); მესამე პირის ჩარევა.

როცა საქმე განქორწინებას ეხება, არსებობს ორი უკიდურესობა, როდის არის იგი გამოსავალი და როდის - პრობლემა. სანამ საქმე ამ ზომამდე მივა, ქალმაც და მამაკაც-მაც კარგად უნდა გააცნობიერონ, რას ნიშნავს ცოლ-ქმრობა და შემდეგ უნდა დაოჯახდნენ.

ქეთი ლეზანიძე

ქუთაისის უნივერსიტეტი „ლამპარის“ სტუ-დენტი, გაზეთ „იმერეთის მოამბის“ სტაჟიორი

კონსოლაცი

მამაჩემი სახლში ყოველლამით მთვრალი მო-დის. ილანძლება, ივინება, ბილწისიტყვაობს. ბევრი მეგობარი მყავს - არც ერთი მათგანი ბიჭი! იცით, რატომ, ასე მგონია, რომ ყოვე-ლი მათგანი მამაჩემის მსგავსია. - **გვანცა, 16 წლის.**

ჩემი ქმარი წარსულში სხვადასხვა თანამ-დებობაზე მუშაობდა.

დღეს - ალკოჰოლიკია - სახლიდან გააქვს ყვე-ლაფერი...

რამდენჯერმე გაიქცა, დავაბრუნე. დღესაც მისი გადარჩენისთვის ვზრუნავ, არ მინდა დავანგრიო ოჯახი. იქნებ ვუმეურნალო... - **ეკა, 45 წლის.**

ობლობაში გავიზარდე, დედის სითბოს, ალერსის გარეშე. მამა ციხეში იხდიდა სასჯელს, რადგან ეჭვიანობის გამო მოკლა დედა.

ცხოვრება მძიმე ტვირთად დამანვა. ველარ ვპოულობ ჩემს ადგილს - ვერც სახლში, ვერც საზოგადოებაში. დანგრეული ბავშვობა! - **ფიქ-რია, 20 წლის.**

ღვენილობის შემდეგ რამდენიმე წელი სო-ფელში მოგვინია ცხოვრება.

ერთხელაც მეუღლემ შემოალო კარი - დალ-ლილ-დაქანცული, მოთენთილი კაცი დავინახე. შემეცოდა. გავათბე წყალი, მოვუტანე, დავბანე ხელი-ფეხი...

მერე... ალებს სახლის კარს, მიბრძანებს: გაათბე წყალი! მომიტანე! დამბანე! - **ლელა, 40 წლის.**

ღედა, მე არასოდეს გავთხოვდები.

- რატომ, შვილო?

- არ მინდა, ჩემი ქმარი ისე მომმართავდეს, რო-გორც შენ - მამაჩემი! - **მეგი, 11 წლის.**

მასწავლებელი ხშირად მსაყვედურობს, სულ გაფუჭდი, შენ ის არა ხარ, რაც შარშან იყა-ვიო.

მართლაც ვერაფერს ვუდებ გულს, გონებაგა-ფანტული დავდივარ სკოლაში. გაკვეთილებსაც ისე ველარ ვსწავლობ, როგორც წინათ. მიზე-ზი ჩემი ოჯახია - გაუთავებელი ჩხუბი, ლან-ძღვა-გინება, კვილ-წივილი. ჩემთვის არავის სცალია! - **თიკო, 10 წლის.**

მახსოვს, როგორ მძულდა დედაჩემი, რო-დესაც შეყვარებულთან შეხვედრას მიკ-რძალავდა. მასში მეტოქეს ვხედავდი. ვფიქ-რობდი, რომ საკუთარი შვილის ბედნიერება არ სურდა. ერთი სული მქონდა, როდის გავხდებოდი 18 წლის, დამოუკიდებელი. მერე ხომ ისე ვიცხოვრებდი, როგორც მსურდა!

გავხდი თუ არა 18-ის, გავთხოვდი. ცოტა ხანში ცხოვრება ნამდვილ კომპარად მექცა! გავშორდი - თურმე მართალი ყოფილა დედა! - **ნინი, 29 წლის.**

ჩაინერა მანანა ლეშაშვილი

„საზოგადოებრივი მისაღები“ უწყისების წიკ

2010 წლის დეკემბრიდან ფონდი „სოხუმი“ კიდევ ერთი პროექტის - „საზოგადოებრივი მისაღების“ განხორციელებას შეუდგა.

პროექტს ორგანიზაცია Filia აფინანსებს - მიზანი აფხაზეთიდან დევნილ ქალთა იურიდიული დახმარება, უფასო კონსულტაციები და მათი უფლებების დაცვაა.

„საზოგადოებრივი მისაღებს“ ორი დიალგისი ჰყავს - იურისტები სალომე ჩარტია და მაკა ქარდავა, ფონდის ღონისძიებების აქტიური მონაწილეები, ფონდში „გამოზრდილი“ ახალგაზრდა ლიდერები.

- მისაღების კარი ყველა ქალბატონისთვის ღიაა, შეხვედრებს ვატარებთ დევნილ ქალებთან ქუთაისში, ხონსა და წყალტუბოში, - ამბობს სალომე. მისი თქმით, მონაწილეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც განმეორებით ესწრებიან შეხვედრებს, ანუ ერთგული მონაწილეებიც ჰყავთ.

იურისტები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ გასული წლის დეკემბერში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომელი საკითხია უფრო აქტუალური - დევნილთა განსახლების და ოჯახში ძალადობის. შეკითხვებიც მეტწილად ამ პრობლემების ირგვლივ იჩენს თავს.

მაგალითები:

მეუღლესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ქალბატონი ძალადობის მსხვერპლი იყო, მაგრამ ქმარს არ ეყრებოდა. მიზეზი: მეუღლე ემუქრებოდა, რომ განქორწინების შემდეგ ვერ მიიღებდა ქონების წილს. ჩვენ

ავუხსენით, რომ განქორწინების შემთხვევაში სრული უფლება ექნებოდა ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების წილზე, მიუხედავად იმისა, რომ ის არ მუშაობდა.

ერთ ქალბატონს სურდა აღედრა საქმე ყოფილი მეუღლის მიმართ მამობის დადგენისა და აღიმენტის დანიშვნასთან დაკავშირებით. ჩვენ მას გავაცანით საკუთარი უფლებები და ადვოკატის აყვანის მიზნით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალში გავაგზავნეთ.

ქალბატონს მინის ნაკვეთში ჰქონდა გადახდილი ფული, მაგრამ არ ჰქონდა დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება - შესაბამისად ის არ ჩაითვლებოდა მინის ნაკვეთის კანონიერ მესაკუთრედ. ჩვენ ავუხსენით, რომ ვიდრე ხელშეკრულებას არ გააფორმებდა, მესაკუთრედ ვერ ჩაითვლებოდა. ჩვენი რჩევის შემდეგ მან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება.

მოგვმართა 19 წლის გოგონამ, რომელიც ვერ იღებდა პირადობის მოწმობას იმ მიზეზის გამო, რომ მის დაბადების მოწმობაში იყო ტექნიკური ხარვეზი. ჩვენ ავუხსენით, რომ მას ამ შეცდომის გამოსწორება საჯარო რეესტრში შეეძლო.

მსგავსი მაგალითი ბევრია... შეკითხვაც ბევრია...

საზოგადოებრივი მისაღები აგვისტომდე იმუშავებს. მანამ კი ახალგაზრდა იურისტებს აქტიური და საქმიანი შეხვედრები ელით...

მანანა ლეჟაშვილი

მაკა ქარდავა და სალომე ჩარტია (შუაში) „საზოგადოებრივი მისაღებში“



იურიდიული მომსახურება

შეკითხვებზე პასუხს იძლევა ფონდი "სოხუმის" იურისტ-კონსულტანტი ინგა მალლაფერიძე

მ ბინტერესებს, რამდენს უნდა შეადგენდეს ასაკობრივი სხვაობა მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის?

ასაკობრივი სხვაობა მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის უნდა იყოს არანაკლებ 16 წლისა. პატივსაღები მიზეზის არსებობისას სასამართლომ შესაძლებელია შეამციროს ეს ასაკობრივი სხვაობა.

ბ ბავშვის შვილებისას ვინ ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას?

შვილად აყვანის პროცედურის განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანო არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება. საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა სასამართლო.

მ შობლებმა დაქორწინებისას მაჩუქეს ბინა. მე და ჩემი მეუღლე ვაპირებთ განქორწინებას. ეკუთვნის თუ არა წილი მეუღლეს ამ ნაჩუქარი ბინიდან?

არ ეკუთვნის, ვინაიდან ეს ბინა თქვენ მიიღეთ საჩუქრად, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თქვენი ინდივიდუალური საკუთრებაა. განქორწინებისას კი იყოფა მხოლოდ ის ქონება, რაც წარმოადგენს საერთო თანასაკუთრებას. აქედან გამომდინარე, თქვენი ინდივიდუალური საკუთრებიდან ქმრისათვის წილის მიკუთვნება ვერ მოხდება.

რ რემს ყოფილ მეუღლეს სასამართლომ დააკისრა ალიმენტის გადახდა 50 ლარის ოდენობით. ახლა ჩემი ყოფილი მეუღლის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა. შემიძლია თუ არა მოვთხოვო მას ალიმენტის ოდენობის გაზრდა?

თქვენ შეგიძლიათ მოთხოვოთ ყოფილ მეუღლეს ალიმენტის ოდენობის გაზრდა, ვინაიდან მისი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა. თუ იგი ამ მოთხოვნას არ მიიღებს, თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს.



ინგა მალლაფერიძე (მარჯვნივ) იურიდიულ კონსულტაციას ატარებს ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში

ქიჩოყაძე

ქალთა

ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში თქვენი საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებები გელოდებათ (იურისტის, ფსიქოლოგის, გინეკოლოგის კონსულტაციები, ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები)

ქუთაისი

მგალობლიშვილის 6 ფონდი „სოხუმი“

სენაკი

გეგელიას 13

სონი

მე-4 საჯარო სკოლა პირველი სართული

წყალტუბო

სანატორიუმი „მედეა“ პირველი სართული

ფოთი

ელადის 8, ბინა 50

ხურობა

განათლების რესურს-ცენტრი

„მანქანაშია ან ნიჟარს უიჯიუნს“

ლელა ბუღალავა ადვოკატია. ბათუმში, ერთ-ერთ მეხვედრაზე, მწვავედ ისაუბრა ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის საკითხზე. აღნიშნა ისიც, თუ როგორ ეხმარება აჭარაში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებს ორგანიზაცია „ადამიანის დაცვის კავშირი“, რომლის თავმჯდომარეც თავადაა.

ეს საოცრად ენერგიული, შრომისმოყვარე, მომხიბვლელი და საინტერესო ახალგაზრდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია, სპორტის აქტიური გულშემატკივარი და მიმდევარი.



- ლელა, მოგვიყვით ცოტა რამ თქვენს შესახებ.
- დავიბადე ზღვისპირა ქალაქში - ამ ლამაზ ქალაქს ბათუმი ჰქვია. ვცხოვრობ მშობლებთან და დებთან ერთად. ჩემი ოჯახი ყველანაირად მიწყობს ხელს. მათი გულშემატკივრობა მაძლევს დიდ ძალას მუშაობისათვის.

- როგორც ვიცით, თქვენი ორგანიზაცია იურიდიულ დახმარებას უწევს დევნილებს.

- საქართველოში არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ეხმარება მოქალაქეებს ამ კუთხით და ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა „ადამიანის დაცვის კავშირი“.

ორგანიზაცია თვითდაფინანსებით მუშაობს, უანგაროდ ვემსახურებით დევნილებს, ვუნევთ იურიდიულ კონსულტაციებს, ვიცავთ მათ უფლებებს. დღემდე ვერ ვივინყებ ერთი დევნილი ქალბატონის ისტორიას - როგორ დატოვეს სახლ-კარი აფხაზეთში, სვანეთის თოვლიანი ტყიდან როგორ გადმოვიდნენ სამშვიდობოზე, რომ ბევრი ადამიანი გაიყინა გზაში. ამ ქალბატონს ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე გადაეცა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართი ბათუმში. ჩვენი შუამდგომლობით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ბევრ დევნილს გაუწია დახმარება.

- რას აკეთებთ ძალადობის პრევენციის კუთხით...

-ძალადობა მთელი მსოფლიოს პრობლემა. ოჯახში ძალადობა გენდერული ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. როდესაც ჩვენს ოფისში მოდის კლიენტი, მასთან ვატარებ გასაუბრებას, შემდეგ ვადგენ გეგმას, თუ რა სჭირდება კონკრეტულად, როგორ გავუწიოთ დახმარება. უმეტესწილად ძალადობის მსხვერპლი ქალბატონები გვაკითხავენ, მოძალადეები მამაკაცები არიან, რომლებიც ცოლებს ხშირ შემთხვევაში ფიზიკურად უსწორდებიან.

- არსებობს კანონი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, ხშირად ამბობენ, რომ ის გადასახედა.

- საქართველოში 2006 წელს მიიღეს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალა-

დობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის გამოვლენის აღკვეთისა და თავიდან აცილების მექანიზმებსაც ითვალისწინებს, თუმცა ეს კანონი ძალიან ცოტა ადამიანმა იცის, ამიტომაცაა საჭირო ჩვენი აქტიურობით მოსახლეობას მივანოდოთ ინფორმაცია, იცოდნენ, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლს იცავს კანონი.

მოვიყვან ორ მაგალითს. კონსულტაციაზე მოვიდა ქალბატონი, რომელსაც ცხვირი ჰქონდა გატეხილი - ქმარმა ძალადობა ეჭვიანობის საფუძველზე განახორციელა, მიზეზი - ინტერნეტი. ასეთი ოჯახი მრავლადაა, თუმცა, ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ. კონსულტაციაზე მოსული მამაკაცი გვთხოვდა ცოლის საყვარელზე მოგვეხდინა რეაგირება, რადგან ოჯახის დახგრევა არ სურდა.

სტატისტიკის მიხედვით, ლალატის მიზეზით 10-დან ორი წყვილი იყრება, თუმცა უმეტესწილად ოჯახი გადაუჭრელი პრობლემების მსხვერპლი ხდება. ძალადობის შედეგად დახგრეული ოჯახების რიცხვი იზრდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც ექსპერტული ერთმანეთის მტრები ხდებიან, ითხოვენ მშობლის უფლებების ჩამორთმევას, ამ შემთხვევაში ბავშვები იჩაგრებიან და ფსიქოლოგიურ ზენოლას განიცდიან.

- გამოსავალი?

- აუცილებელია, საზოგადოებამ სწორად გაიგოს გენდერული თანასწორობის არსი - გენდერული თანასწორობა ნიშნავს იმას, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთით. გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის გაიგივებას, პირიქით, დემოკრატიულ, პლურალისტურ სივრცეში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი.

მანანა ლუბაჟელი

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - ლელა ჯალაღონია

რედაქტორი - ლალი შენგელია

კორესპონდენტები:

ხათუნა გოგუა

მანანა ლეშკაშელი

ფოტო - მანანა ლეშკაშელი

დიზაინი - ლია კოსტავა

ქურნალი გამოდის ორ თვეში ერთხელ

მისამართი: ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6

ტელ: 7 29 02, 890 54 31 61

ფაქსი: 7 13 68

ელფოსტა: woman@fundsokhumi.ge

ვებგვერდი: www.fundsokhumi.ge



ამ სიმბოლოში, რომელიც სპეციალურად ფონდი „
სოხუმისათვის“ შექმნა ცნობილმა მხატვარმა ოთარ ქანდარი-
ამ, ყველაფერია ჩატეული, რაც ქალს უკავშირდება: სიხარული,
სევდა, ტკივილი, რწმენა და, რა თქმა უნდა, იმედი...